



ლაფანურული მოღვაწეები

ՕՐԻՆԱԿԱԴՐՈՒ
ՑԱՌԱՎԱՐՈՒԹՅՈՒՆ



ლაფანყურელი მოძექსები



თბილის „მერანი“. 1991.

84 ۱۹ -5
ල 29

මොමුදගේ තුළු බෝ: ටැලු මතිඩු උඩු මුදු
තිනා ම්‍යුදු ගුරු

ගම්මාම මුදු මුදු මුදු මුදු මුදු මුදු

5 4702017200-220 ----- ඩරඩ. 1/209
a 604(08)-90

ගම්මාම මුදු මුදු „මුරානි“



თელავიდან ჩრდილო—აღმოსავლეთით, კავკა-
სი ონის კალთების ძირში, მდინარე ლოპოტის უბნის
მარცხენა ნაპირზე, ზღვის დონიდან დაახლოებით
600 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს სოფელი
ლაფარყური. სოფელი თითქმის ოთხივე მხრიდან
გარსშემორტყყმულია სხვადასხვა სიმაღლის მთე-
ბითა და გორებით. მხოლოდ დასავლეთის მხა-
რეს გაურღვევია მთათა რკალი სწრაფსა და დაუ-
დეგარ ლოპოტას.

მდინარის ორივე სანაპირო ჭალა, ბორცვები
და ფერდობები მეოცე საუკუნის დასაწყისში • გაუ-
ვალი ტყით ყოფილა დაფარული. უხვალ მოიპოვე-
ბა უძველესი და უტყუარი ნაშთები იმისა, რომ
ლოპოტის ხეობაში, თითქმის აღპურ ზონამდე,
შორეულ წარ სულმზ ხალხი ცხოვრობდა. ხეობის
სიღრ მეში, სოფლიდან 20-25 კილომეტრის და-
შორებით მდებარეობს აღგილები, რომელთა სა-
ხელები აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ოდეს-
ლაც ისინი დასახლებული პუნქტები ყოფილა და
არა უბრალო გეოგრაფიული აღგილები: სასანთლე,
მუხაციხე, ნაკალოვარი, ჩხინვარი, გონჯახევი,
ნამარნევის გორი, ტორნისი, ჭურისხევი.

ზემოთ ჩამოთვლილი აღგილები დაფარულია
ეკლესიათა და ციხეთა ნანგრევებით, ნასოფლარე-
ბით, ქვითკირებით, სასაფლაოებით.

არქეოლოგებმა დღემდე რატომდაც ვერ მოი-
ცალეს ლოპოტის ხეობის შესასწავლად. მაშინ
მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფად არ მოგვეჩვენებოდა
სოფლის უხუცესთა მეხსერებამდე მოღწეული ცნო-
ბა იმის შესახებ, რომ მჭიდროდ დასახლებული



და ძლიერ გამაგრებული ლოპოტის ხეობილზე მოსული ჯარი მრისხანებითა და მრავალრიცხოვნებით გამოირჩეოდა. აქ სამი დაბაც ყოფილა: ჩხინკური, მუხაციხე და წოლორნა. ეს უკანასკნელი მოხსენიებული აქვს აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილსაც. პატივული ისტორიკოსის ცნობით, ერთ მომენტში ვახტანგ გორგასადს თავისი ვაჟი დაჩი დაბა წოლორნაში გაუხიზნავს ლოპოტის ხეობაში. ცხალია, სუსტ და მტრისათვის აღვილად მი საწვდომ აღგილებში მეფეები ოჯახის წევრებს არ გახიზნავდნენ.

სოფლიდან დაახლოებით 7-8 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს გონჯახევი. აქ სამკურნალო წყლები გამოდის. წყლებთან ნაგებობათა ნაშთებია, არასპეციალუსტის, თვალისთვის ძნელია და შეუძლებელიც იმის გარკვევა, თუ რის ნაშთებია ეს. გადმოცემის მიხედვით კი აბანოები ყოფილა. გადმოცემაში აბანოების არსებობის დროც არის მითითებული – თამარის ხანა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ზუსტად ამ სამკურნალო წყაროებთან იღებდა სათავეს სარწყავი არხი, რომლითაც გონჯახევის წყალი გრემის მინდვრებში. მიღიოდა და ეს არხი მოქმედი, შესაძლოა, ზუსტად თამარის ეპოქაში იყო, მაშინ ზემოთ მოტანილი ცნობაც სარწმუნოდ მოგვეჩვენება.

მაგრამ ეს ყველაფერი შორეული ისტორიაა,

ძალზე შორეული და ბურუსით მოცული. ამჟამად ამ ხეობაში მხოლოდ ერთი სოფელია.

მოკლედ თვით სოფლის სახელის შესახებ: ლა-

ფანციური - ამ ტოპონიმის შინაარ სობრივი ანუ-
ლიზი ორგვარად შეიძლება:

1. ლაფიანი ყურე - ლაფანციურე - ლაფანცუ-
რი. ეს ვერსია საკლებსარწმუნოა და რატომ?
რა მდენი ლაფიც არ უნდა ყოფილიყო ამ ადგილას,
ხალხი თავის სოფელს ლამამცირებელ სახელს არ
ღაარქმევდა.

უფრო სარწმუნო გვეჩვენება ტოპონიმის ამ-
გვარი ანალიზი: ლაფიანი ყურე - ლაფიანინ ყუ-
რე - ლაფანციურე - ლაფანცური. ლაფიანი ხე-
მცე ნარის სახელია. თუ გავითვალისწინებთ, რომ
ლაფიანი ლოპოტის ხეობაზე და მთელ იმ ახლო-
მახლო ადგილებში მხოლოდ თანამედროვე სოფლის
მიდამოებში გვხვდება, მაშინ უფრო სარწმუნოდ
ტოპონიმის ახსნის ეს ვარიანტი უნდა მივიჩნიოთ.
მეოცე საუკუნის დასაწყისში ლოპოტის ხეობა თა-
ვისი მიმდებარე გორებით მდიდარი და გაუვალი
ტყით ყოფილა დაფარული. ეს ხეობა, მაშინდელი
ნაფარეულიდან აღაზნის მხარეს მდებარე ვენახე-
ბსა და სახნავ-სათეს ადგილებთან ერთად „სადე-
დოფლოდ“ იწოდებოდა. სოფლის უხუცესი ადამია-
ნების აზრით, ეს ადგილები რუსეთის დედოფლი-
სათვის ნაჩუქარი ადგილები ყოფილა. თუ ვინ
აჩვენა, არავინ იცის. ჩვენი აზრით, ეს ად-
გილები შემდეგნაირ ად გახდა „სადედოფლო“. რო-
გორც ცნობილია, წინანდალში ჭავჭავაძეების
სახლ-კარს დეკები რომ დაესხნენ თავს და ოჯა-
ხის წევრები ტყვედ წაიყვანეს, ამ ტყვეთა გა-
მოსასყიდი დიდი თანხა ჭავჭავაძეებმა „ნათლია
დედოფლისაგან“ ისესხეს (ვერცხლის ფული).



ვიღი შესაძლებელია, ჭავჭავაძეებმა ამ ვარუმი დედოფალს ეს ადგილები მისცეს შემდეგში. ასეათ ისე, ღოპოტის ხეობა ამ საუკუნის დასაწყისში სათავადო არ ყოფილა.

ივრის ხეობის სათავეში მცხოვრები ფშავლები ღოპოტის ხეობას კარგად იცნობდნენ, რადგანაც მ სხვილფეხა პირუტყვს აქ აზამთრებდნენ (თვეში სულზე აბაზს იხდილნენ). აქ ჰქონდათ მხოლოდ საზამთრო ბინა-გომურები (ბოსლები), ცხალია, ხეობის სხვადასხვა კუთხეში გაბნეული. მოღაპა-რაკებას მათთვის საჭირო საკითხებზე ფშავლები „სა დედოფლოს“ გამგებლებთან აწარმოებდნენ ხვთისო ჩაქიაშვილის საშუალებით, რომელიც სხვებზე მდიდარი ყოფილა და, აღბათ, რუსული ენაც იცოდა. ზამთარში ხ. ჩაქიაშვილი ხელშეკრულებას უფორმებდა ამ ადგილების ზედამხედველს და უმზადებდა ვენახის სარს და ღვინის კასრებისათვის მუხის ფიცარს. რა თქმა უნდა, ის ხალხს ამუშავებდა. ამ გზითაც მას საკმაო სიმდიდრე დაუგროვებია.

ხვთისო ჩაქიაშვილს და ლევა ნარუსლიშვილს მოსწონებიათ ეს ადგილი და გადაუწყვეტიათ მისი ყიდვა მუდმივ საცხოვრებლად. მაგრამ ორი ადამიანისათვის (ოჯახისათვის) ამის გაკეთება ძნელი იყო და, აღბათ, შეუძლებელიც. ამიტომ მათ შემოუვლიათ თავისი მახლობლები, ნათესავები და დაახლოებით 9-10 ოჯახი შეამხანაგებულა. უყიდი ათ 40 ჰექტარი მიწა, მაგრამ ღირებულება იმდენად დიდი იყო, რომ ერთდრო უყდად მაინც ვერ გადაუხდიათ. ჩამოსახლდნენ მთიდან და და-

იწყეს ტყის გაკაფვა შესყიდულ ადგილებში. რა
თქმა უნდა, ყველაზე კარგი ადგილები მათ შეი-
ღეს, ვინც პირველად შევიდა „ამხანაგობაში“.
შემდეგ ამ პირველმოსახლე 9-10 კომლს თან-
დათან ემატებოდნენ სხვანი და ისინიც იხდიდ-
ნენ ღირებულებას. პირველი ჩამოსახლება დაიწყო
1908-1909 წელს. მიწის ყიდვა-გაყიდვა გაფო-
რმდა 1906-1907 წლებში.

შესყიდული ადგილების მხოლოდ მცირე ნაწი-
ლი იყო ვაკობი, რომლის დამუშავებაც გაკაფვის
შემდეგ ხის გუთნით იქნებოდა შესაძლებელი. ძი-
რი თაღი ნაწილი ფერდობი იყო, რომლის მოხვნაც
გუთნით არ ხერხდებოდა, ამიტომაც თოხით ამუ-
შავე ბდენ. მთის მძიმე პირობები ცხოვრებისა
ახალმოსახლეებს არც აქ შეუმსუბუქდათ. კვლავ
სიღატაკე სუფევდა ხის ქოხებში. ძირითადად
კვლავ მესაქონლეობას (მეძროხეობას) მისდევდ-
ნენ, შესყიდული მიწა არ იხვნებოდა.

როცა საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა საქა-
რთვე ლოში, ახალჩამოსახლებულ მთიელებს სამი
კაცსაგან შემდგარი დელეგაცია გაუგზავნიათ
მთავრობაში. მათ სამოსახლოდ უნდა ეთხოვათ
მთავრობისათვის ის ადგილი, რომელიც ახლა
უკავია სოფელს. ეს იყო „დიდ ვაკე“ დასავლე-
თის მხრიდან მიმდებარე გაუვალი ტყით. დელე-
გაცაში შედიოდნენ ხვთისო ჩაქიაშვილი, ბაბო
გიგაური და ხვთისავარ გორთამაშვილი. მათ
უშუალოდ ფილიპე მახარაძისათვის მიუმართავთ,
რომელსაც წება დაურთავს: „გაკაფეთ ჭყე, და-
მზადებული ხე-ტყე სახელმწიფოს, მიწა - თქვენო“.

და აი, ახალმოსახლეებმა არა ერთბაზად,
 წელ-წელა დაიწყეს ახლადგაჩეხილი ახობის თუ
 ნახევრადგატეხილი. ადგილების მიტოვება, უკვე
 დამთავრებული თუ ნახევრადაშენებული ქოხების
 ღამლა და ცულებით, თოხებით, წერაქვითა და
 ხის გუთნებით შეიარაღებულნი კულავ გაუვალ
 ტყეს შეებრძოლნენ. საქმე ძალიან წელა, მაგ-
 რამ მაინც წინ მიიწევდა. იმედს ის იძლეოდა,
 რომ ახალი ადგილების მოსარწყავალ მოინარე
 ლოპოტიდან არზის გაყვანა შეიძლებოდა. შრო-
 მამ და გარჯამ ნაყოფი გამოიღო. მთიელები
 თავიანთ ნათესავებს, მახლობლებს ეპატიუებოდ-
 ნენ კახეთში. აქ ჩამოსახლება უკვე არაგვის
 ხეობის მკვიდრებმაც დაიწყეს. ცხადია, ხალხი
 უკვე უსასყიდლოდ იღებდა მიწის ნაკვეთებს.
 სხვათა შორის ახალ ადგილასაც პირველად
 ხვთისო ჩაქიაშვილი გადასახლდა და ეს სახლი,
 ახლა მისი ამშენებლის შვილიშვილებისაგან უკვე
 ფორმაშეცვლილი ისევ დგას.

რაც შეეხება ლეგა ნარუსლიშვილს, რომელიც
 მთიელთა კახეთში ჩამოსახლების ორგანიზატორი
 იყო ჩაქიაშვილთან ერთად, ამ ღროისათვის უკ-
 ვე ცოცხალი აღარ არის, იგი გარდაიცვალა
 1909 წელს, ის იყო პირველი მიცვალებული,
 რომლის დაკრძალვაც ახალ მოსახლეობას მოუხდა.
 იგი დაკრძალეს მაშინდელი სოფლის შუაგულში.
 ახლა ეს სასაფლაო სოფლიდან საკმაოდ შორს,
 თითქმის 5 კილომეტრითაა დაშორებული. ამრი-
 გად, „ლეგა პაპამ“ სოფლის სასაფლაოსაც ჩაუყა-

რა საფუძველი, ხოლო სასამ კი მოხდებოდა, კიდევ ერთი დიდი და უფრო მნიშვნელოვანი ქმე გააკეთა. ერთხელ, ნაღირობის დროს მააშეა მჩნია, რომ ერთ ადგილს ხევში წყალი თეთრად გამოიყურებოდა. იგი ახლოს მივიდა და ნახა, რომ წყალი თეთრ კლდეზე (ტინზე) გადმოსჩეფდა. გაოცდა. თეთრი ქვა მანამღე მის თვალებს არ ენახა. ტინს მუშტისოდენა წაატეხა,, ნაწადირევით სავსე გუდა უფრო დაიმძიმა და მეორე დღეს პატარა სოფელში უკვე ყველამ იცოდა „თეთრი ქვის“ არსებობის ამბავი. შემდეგ ამ „თეთრი ქვის“ ნატეხმა დედაქალაქი მოინახულა და „ლეგა პაპას“ მეგზურობა დასჭირდა მთავრობის იმ დელეგაციისათვის, რომელიც სპეციალისტებისაგან შედგებოდა და რომლებმაც კარგად იცოდნენ „თეთრი ქვის“ ფასიც და მნიშვნელობაც. სამართლიანად დაიკავა ლეგა პაპამ თავისი ადგილი რ. ელანიძის წიგნში „თეთრი მთები“.

როგორც შემდგომ გამოკვლევებმა ნათელყვეს, ლოპოტის მარმარილო თავისი თვისებებით უნიკალურია, ხოლო საბადოს მარაგი - თითქმის ულევი. ლოპოტის მარმარილოს ფილებით არის მოპირკეთებული მოსკოვში მეტროპოლიტენის სადგურები და ხელოვნების სხვა შესანიშნავი ნიშუშები მთელ კავშირში.

სოფელში ამჟამად ცხოვრობს 370 კომლი. თითქმის უკლებლივ ყველა ოჯახი ივრის ან არაგვის აუზში მდებარე, ფშაური სოფლებიდან არის ჩამოსახლებული. მხოლოდ რამდენიმე ოჯახია



ხევსურებისა და მთიულებისა. სოფელში არის საშუალო სკოლა, კულტურის სახლი, ბიბლიოთეკა, სამედიცინო პუნქტი, საჯოსტო გასყოფილება, საბავშვო ბაღი, ორი სასორისათო და ერთი შერეული მაღაზია.

სოფელს ძალზე ბევრი პრობლემა აქვს. მათი გადაჭრა ლიდადაა დამოკიდებული ხელმძღვანელ მუშაკებზე. 1986 წელს მეურნეობის დირექტორად დანიშნეს ადგილობრივი მკვიდრი ვაჟა ლეშვაშელი. ლაფანყურლები ამ ლექსით შეიგენერებ მას:

ვაჟავ, მოგვიხველ მშვიდობით,

გეძახდა დედულ—მამული,

დაგიხვდა მეურნეობა

თევზივით გამოწალული.

იხი ლე ვაი ბიჭები,

სხვის კალთას ამოფარული,

ფარდა ახადე ყველაფერს,

რაც ჩვენთვის იყო მაღული.

ზოგიერთს ლე და ეტირა,

ზოგს ელის ზღვა სიხარული.

რამდენად გაუმართდებს ხალხს იმედებს ახალი დარექტორი, ჯერჯერობით ძნელი სათქმელია; ის კი უნდა აღინიშნოს, რომ ამ წიგნი გამოცემაში მისი წვლილიც არის.

იღვო თეიმურაზის, ძე მთიბელაშვილი დაბა— და 1901 წელს სოფელ ჩარგალში. მაცე მისი მშობლები საცხოვრებლად ჯერ წითელწყაროს რაიონის სოფელ ქავემო ქედში გადასულან, შემ- დეგ — ყვარელის რაიონში. საბოლოოდ კი თე- ლავის რაიონის სოფელ ლაფანყურში დამკვიდრე- ბულან.

იღვო მთიბელაშვილი: სკოლაში არ უვდინა, წერა—კითხვა მწყებრიბაში უსწავლია. ძალიან უყვარდა წიგნები და ბევრსაც კითხულობდა. თი- თქმის; მთელი სიცოცხლე ცხვარში გაატარა. იყო მეცხვარეობის ბრიგადირი, ბოლოს — ფერმის; გა- მგე.

1953 წელს, როცა კოლმეურნეობის მანქა- ნით ზამთრის საძოვრებიდან სოფელში ბრუნდე- ბოდა, მანქანა გადავარდა და ი. მთიბელაშვილი დაიღუპა. დაკრძალულია სოფელ ლაფანყურში.

40-იანი წლების ახალგაზრდობამ მისი ყვე- ლა ლექსი ზეპირად იცოდა. ამ ლექსებს მღერო- დნენ ფანლურ ზე.

მოიდა ლეკის მთხრობელი
 დილასა თესებისასა.
 შაუკრავ გაღასავალი
 შვილებსა ლეკებისასა.
 გაუმართიათ საყუჩი,
 მისვლას ელიან მტრისასა.
 ბნელ ხევზე ჩაჰყეფს ყორანი,
 ნასიახარი; მისდევს ყმისასა.
 თან მონალირე ჩაჰყვება,
 ბრძამს ეკიდება კლდისასა.
 შამაჰევევია ნისლები
 ციხესა ყაღორისასა.
 ცხენო, იარე, ფეხ-თეთრო,
 გავლას ნუ პზარობ გზისასა.
 ნუ უფიქრ დები, პყოყმანობ,
 ვიწრო ბილიკებს კლდისასა.
 ზოვის ანკარა წყალს გასმევ,
 ქუჩი; გაჭმევ მაღლის მთისასა.
 იარე ჩქარი ნაბიჯით,
 გავცილდეთ ლეკის მიჯნასა.
 ბნელაში ურჯულოები
 თოფს ვერ უნახვენ ლიშანსა.
 თუნდა გვესროლონ, აგვიდება,
 ვერ გასტეხვნ გულის ფიცარსა.
 შენ თუ მოგარტყეს, ოხერო,
 ჯავრს არ შაგაჭმევ მტრისასა.
 ვეცდები, ვანანიავებ,
 სისხლით შავლებავ ქვიშასა.

ან მეც შენ გვერდზე მოვკვდები,
 შუქს დავიბნელებ მზისასა.
 და თუ მე მომხვდა, ტიალო,
 ხელთ არ ჩავარდე სხვისასა,
 აქ არ გასწერდე, ჩაუდი
 ველებსა კახეთისასა.
 პატრონის სიკვდილს წუ იტყვი,
 თუ ვინ ჩემ ამბ ავს გვითხავსა.
 ხანდახან იქაც მიხვიდი,
 საცა მე მისვლა მიყვარსა.

XXX

სიცოცხლევ, ტანჯვის ნაჭოფო,
 ჯერ ისევ დაუდეგარო,
 ვერ გასძელ ჩემის ტანჯვითა,
 ბოლმავ, გულს გადმომჩეფარო.
 ფიქრებო, ყორ ნად ქცეულო,
 მისნად ჩემს თავზე მყეფარო.
 ღილის ცისკარო, ამოჩნდი,
 ჩემს გულზე ლაღად მდებ არო,
 სიცოცხლის მოციქული ხარ,
 შენს ნახვას ვენაცვალები,
 ამოდი, გნახო, ჩემს გულში
 შუქმა შეაღოს კარები,
 გამისათებეს ბრელს გულსა
 შენი ცერიალა თვალები.
 მეჩვენე, თორო მოვკვდები,
 ბრელს მღვიმეს მოვეფარები.

სიცოცხლეს აღნობს, მკერდს ანგრევს
 გულს სევდა გადმონთხეული,
 მეკაცირ გვედებად მარტყავ
 ფიქრი გარს შამოხვეული.
 ახალი ცეცხლი მედება,
 ვიწვები, როგორც საჭირე.
 სიკვდილო, დამიკავშირდი,
 სიცოცხლევ, გამინაპირე.
 შამძაგლი, წუთისოფელო,
 დამტანჯე, ცრემლად მატირე,
 ნახვის უფლებას რად მიკვეთ,
 ვისაც სიცოცხლე შავჭირე.
 გულს ნუ სჭამ, მწარე ნაღველო,
 ფიქრო, ნუ დამათავხშირე.
 ნუ ამირიე გონება,
 სევდის მორევში დამძირე.. .

XXX

მშვიდობით, ჩემო ქვეყანავ,
 ტკბილო სამშობლოვ, მთიანო,
 სამშობლოს ჭალა-ველებო,
 კორუმ-კორუმად ტყიანო.
 მინდვრად გაშლილო ყვავილო,
 დღევ, მოწმენდილო, მზიანო,
 მთვარევ, მოსულო ცაზედა,
 შუქმფენო, უხვსხივიანო.
 მე შენ არ გემშვიდობები,
 სოფელო ღალატიანო,

საწუთროვ ღაუსდიბელო,
 სიცოცხლევ ბალღამიანო.
 სცლებიან, ვინაც გაქებენ
 სიტკბოებაღა გთვლიანო.
 ცელქო ბუნების კანონო,
 ძირ-მწარევ, ესა-წყლიანო,
 ვინ ღაასრულა სიცოცხლე,
 შენ რო არ ღაუზიანო!
 ა დგილო, ჩემო გამზრდელო,
 სამშობლოს ქუქუვ რძიანო,
 გულს ჩამრჩა შენი ჟურვილი,
 ღალიან-ბარაქიანო.
 შენს მკერდზე ვარდნი ჰყვავიან,
 ბულბულნი მოგნატრიანო.
 წიადაგ შენი გამყრელნი
 ჭირიან, ცრემლია ღვრიანო.
 შენთანამც მამკლა, შენს მკერდზე
 საფლავსამც გამითხრიანო,
 შენიმც თვალნ ღამიტირებენ,
 გულს ცრემლებს ღამაყრიანო.
 გამიშვი, უნდა წავიდე,
 ღიღხანს არ ღამაგვიანო.
 სიკვდილი სჯობავ, აქ ყოფნას
 სიცოცხლე. არა ჰქვიანო.
 ხო ხეღავ, ეხლანდელები
 ერთურთს თვალებსა სთხრიანო.
 კაპიკზე ძმასა ჰყილიან,
 დე ღას ქუქუსა სჭრიანო.
 ბალღამში ხელ-პირს 'იბანენ,
 გზაზე ეკალსა შლიანო.

დაიზრდებიან ლეკვები,
 მაგათ ჯავრს ამამყრიანო.
 ამავსებენ თავაღა,
 რასაც სხვისთვისა სთხრიანო.

XXX

სატყვა ფიქრია მღელვარე,
 ეს გული კალმის წვერია.
 ქაღალდზე შავი მეღანი
 და მდნარი გულის წვენია.
 ამ გულის წვენით ნაწერი,
 მთვარევ, ალერთ შენია.
 რაც ჩემ გულს ცეცხლად ედები
 მეორ-მესამე წელია.
 გშორდები, სევდა მატულობს
 გულის, გონების მწველია.
 მერჯულედ ნურვინ დამიჭერ ს,
 კარგის დათმობა ძნელია.
 სო იც, წუთისოფელი
 რამდენი ცოდვის მქნელია.
 ან შენ რა დაგემართება,
 მგმობი გავხდები ბედისა.
 ან მე გამრიყავს ჭალაზე
 ზოვი დაღისტნის მთებისა,
 ან კლდეზე გადავვარდები,
 ჯოგი დამესხმის მგლებისა.
 ჩა მამყვებიან სვავები,
 ჩრდილი დამფარავს ფრ თებისა.

სალეკოს მოწათოსდება
 წაძოძი ჩემის ძღვებისა.
 ან ტყვია შამათამაშებს
 გამოსროლილი მტრებისა.
 შენს წაცვლად ცრემლებს დამაყრის
 ცელქი ჩანჩქერი მთებისა.
 რა მამა დამიღონდება,
 რა დედა ატირდებისა!
 შენ მაინც დამიტიროდი,
 ჩემებრ ტანჯულო ბედისა.
 ჩემ გულად ქვეყნის მნათობო,
 მჩაგვრელო ვარსკვლავებისა.
 მე ჩემს გეძახი, ვინ იცის,
 იქნება იყო სხვებისა.

XXX

მე წუხანდელმა სიზმარმა
 გულით გამხადა ავადა.
 ერთ მხრივ დამატკბო, მეორით
 ცეცხლს მიღებს დასაწვავადა.
 იქნებ რა გიჭირს, ლამაზო,
 ვაი, თუ მყვანდე ავადა?
 ფანჯრიდას გადმოგიხედენ,
 იწექ, გეძინა წყნარადა.
 კარი გავაღე, შამოველ,
 გვირდს მოველ სანახავადა.

შენს მკერზე ვარდი ჰყვაოღა,
 ჰყვებოდი სულის ქცევასა.
 გულგაბრწყინებულს, ლამაზო,
 და გვერდი თავშიშველასა.
 სიხარულს ვეღარ ვუძლებდი,
 ვდა მობდი წამოქცევასა.
 ჩემ მეორმოსვლის დღე იყო,
 ჰგვანდა ცის ჩამოქცევასა.



ალექსი წვეროშვილი, რომელიც ფშაური პოლიტიკური გუნდის წევზე დაინტერესებულ პირთათვის ფრუშვას სახელით არის ცნობილი და რომელიც შესანიშნავ კაფებში საკუთარ თავს ქოთილას; თიკუნითაც (მეტსახელით) მოიხსენიებს, ღიღად პოპულარული მელექსეა. ეს ის ფრუშვაა, რომელმაც პირისპირ შეხვედრისას ღიღ ვაჟა-ფშაველას მოკრძალებით უთხრა: „მე უბრალო მოლექსე ვარ, პოეტებთან რას გავხდებიო”, მაგრამ სხვა დროს ისიც უთქვამს:

არა მაქვ საწერ-კალამი,
არ ვაღლეინებ მაჯასა,
მაგრამ არ დაუვარდები
რაზიკაშვილსა ვაჟასა.

ალექსი მირზას ძე წვეროშვილი დაიბადა 1878 წ. თბილის რაიონის სოფელ სოფლიონში. წერა-კითხვა ბავშვობაშივე უსწავლია და როგორც წერა-კითხვის მცოდნე ყველა ფშაველს, ძალიან უყვარდა წიგნები. თითქმის ზეპირად სცოდნია „ვეფხისტყაოსანი”.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე გა-წვეული იყო მეფის არმიაში. მონაწილეობდა რუსეთ-გერმანიის ომში. ჩავარდა ტყვედ და 7 წელი გაატარა ბავარიაში, ქ. მიუნხენში. წერ და რუსულ და გერმანულ ენებზე.

1921 წელს დაბრუნდა სამშობლოში. შრომობდა (იყო შესანიშნავი მჭედელი და დურგალი) და თან საუკეთესო კაფიებსა და ლექსიბს ქმნიდა, ქეიფობდა კიდევ და ლექსირბაში ეპაექრებოდა შემთხვევით შემხედვრ პირებსა თუ თავის მუდმივ

მეგობარ-მეტოქეებს: ყრუვ გიორგის (მტელაშვილის), ტოკას (ხვთისო იმერლიშვილის), ალიას (გიორგი გიგაურს), ალექს და დავით ლომაშვილებს, ელიბო მინდოდაურს და სხვებს.

1939 წელს ფრუშვა საცხოვრებლად გადადის თელავის რაიონის სოფელ ლაფანყურში, საღაც იგი გარდაიცვალა 1942 წელს.

მისი ყველა ლექსი თუ კაფია კონკრეტულ ამბავზეა შექმნილი. ახლა ძალიან ძნელდება მათი კომენტირება, უზუსტობისა და შეუსაბამობის თავიდან აცილების მიზნით ჩვენც თავს ვკავებთ მათი კომენტირებისაგან: ვფიქრობთ, და კვირვებული და ღაინტერესებული მკითხველი მაინც გაიგებს, რას ამბობდა ფრუშვა. მართალია, ფრუშვამ სიცოცხლის დიდი ნაწილი სოფლიონში გაატარა და ამდენად, მისი ლცქესების უდიდესი ნაწილი იქ არის შექმნილი, მაგრამ რა მდენადაც სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ლაფანყურში ცხოვრობდა (და მისი შვილებიც აქ ცხოვრობენ ამჟამადაც), ამდენად თავს უფლებას ვაძლევთ, ლაფანყურელ მოლექსეთა შორის მოვიხსე ნიოთ.

X X X

ა ხალსოფელს შამაიღეს,
კოლექტივიზაციაო.
მენაც მითხრეს „შენც შეგ შადი”,
სამ დღე-ღამეს მაციაო.
ჯერ ერთმანეთს ვერა ვხდე ბით
მე-დ ჩემ დედაკაციაო.
გაჭავრდება, მამაყვეღრებს,
ჩემ ნაკერებ გაცვიაო.

X X X

იმას ამბობს ქოთილაო,
მამიტანეს ქობთ ქირაო.
დავწვი მაგის გამამხდელი,
სხლის არ აყი ყოფილაო.
და ვლევ, დამკიდებს ყელთავქვა,
როგორც ურმის. კონკილაო.

X X X

გაგიცვდა, შუშან ქალაო,
წითელ კაბაის ბრიალი.
კოჭამდე თეთრი ჩიქილა,
ბოლომდე ხოხბის თვლიანი.
ლხინ-ქორწილებში სირბილი,
თითის წვერებზე ტრიალი.

X X X

აღარ წავალ შარახევსა,
 თავს ლამეცას პოლიცია,
 კოხტამ კინალ ხანჯრით მამკლა,
 რაღაც ეშმაკმ მამისა.
 მე რა იმის გული მქონდა,
 იმის ქალთან წოლისა.
 მთვრალ ვიყავ, თავ არა მქონდა
 ფეხ ზე წამოდგომისია.
 ფხიზელიც ვერას დავაკლებ,
 ხარ-კამეჩის ღონისია.
 ვეღარც შუაკაცმა გასჭრა,
 ყველა გამორ ჩომისა.
 ტყუილად არვის რას მოგცემთ,
 ფრუშკაც კაცის გონისია.

X X X

ბიძაის ქალო საბედა,
 გირჩევნავ იყო ჭკვაზედა.
 არ გი ნდა ქმრისად ჩივილი,
 თი ა ნეთს გამოცხადება.
 ქმარს უფლება აქვ ცოლზედა,
 ყროლს ჯერ სხვა გაუჯავრდება.

შენიც ბრალია, ალექსი,
 მაშინ რა თვალებ აგება.
 შე ნიც ვეღარა გავიგი,
 ხან ქალ გინდოდა, ხან – დედა.
 გველის მოშხამულ მასკვლავზე
 დუ შმანიმც დაიბალება.

0 , 3 0 ₅ 1 9 0 0 8 0

ღმერთო და ჩემო გამჩენო,
 ჩემფერა ბევრი გყოლია.
 ცოდვები შემიმსუბუქი
 სამარეს ჩასაყოლია.
 ძე არვინ დამრჩა, მამგონე,
 გაქრა ცეცხლი და ბოლია.
 სამზეოს გამოვესალმე,
 სკვლილს ვერავინ პბრძოლია,
 და მბაღებ ელო, მანიჭე
 განათლება და ცხონება,
 მიმკვიდრე სასუფეველი,
 შემიმსუბუქი გონება.

X X X

ମତ୍ତାରେ ଲାଦନ୍ତେଇଲା, ଲାଦନ୍ତେଇଲା,
 ମିଶ୍ରି ମିଶ୍ରିରେବା ମାତ୍ରାଲା。
 ଲା ମାତ୍ରନ୍ତେନ ପାରିଲିଲ ପ୍ରାପିଲିଲ,
 ଯା ନିଜ ଗାନ୍ଧନ୍ତେନ ଆଗାଲା。
 ରା ଲଗାନ ଲାମିଶେଳ କ୍ଷେପାନା
 ଲା ତୁମ୍ଭେ ତାତ୍ପରୀ ତାତ୍ପରୀଲା。

X X X

- ଅଲ୍ଲେଖିଶ ଲାମାଶିଵିଲି - ଫର୍ମିଶିବାନ, ରାଜ ଏବଂ
 ଗାତ୍ରେନିର୍ଦ୍ଦେଶବା,
 ଅନ୍ତରେନ ଲାମ୍ବେ ରାଜା ଏବଂ ?
- ଫର୍ମିଶିବା - ଏଲ୍ଲେଖିତରନ୍ତେବେଳେ ଲାଜୁଥିଲେ,
 ଗାତ୍ରେନିର୍ଦ୍ଦେଶବା ଲାଭା ଏବଂ ?
- ଅଲ୍ଲେଖିଶ - ସନ୍ତୋଷିନ ତୁ କାହାକୀବା,
 ନରତାକୁଳା ଲାଭା ଏବଂ ?
- ଫର୍ମିଶିବା - ନରତାକୁଳା କୁରିଶାବିବା,
 ରାଜଗାନ ନିରିବ ଗାଲିମା ଏବଂ ?
- ଅଲ୍ଲେଖିଶ - ଲାମାତ ସନ୍ତୋଷିଲ କୁରିଶାବିବା,
 ନିମିତ୍ତିନ ରାଜ ମାଲ୍ଲା ଏବଂ ?
- ଫର୍ମିଶିବା - ମାନ୍ଦ ଜୀବିଗିରେବିଲ ଦେବରିବା,
 ଶେଷଗାଶାକରାବ ଲାଭ ରା ଏବଂ ?
 ପ୍ରାପିଲିଲ ନାନ୍ଦବେଳ ପାଦାଲାଶିଲ
 ଫର୍ମିଶିବା ଏକେବେଳେ, ଲାଭା ଏବଂ ?

პეტრე - მამიხვედ, აფშუელ კაცო,
 მამიტანეა დიდ თავი?

ფრუშვა - დიდ მოგიტანე, პეტრეო,
 ვერ იჭერს შალის ნიფხავი.

პეტრე - დავწვი შენ გამამგზავნელი,
 ჩარგალს - შენ ამბის მკითხავი.

ფრუშვა - მოდი დამშორდი, პეტრეო,
 არა მაქვ საუბრის თავი.

პეტრე - შენ მაინც გაგტეხ, ფრუშვაო,
 არ გინდა ქადაგ-მკითხავი.

ფრუშვა - შენ მე ვერ გამტეხ, პეტრეო,
 ცხრა ხელ რო გებას, ხუთ თავი.

პეტრე - აავსეთ ნაბიჭვრებითა
 სოფლივნის გზის ძირ—გზის თავი.

ფრუშვა - ძმისწულ კი გაათხოვეა,
 არ გაუმზადე მზითავი?
 რა ქნა მაგ გაბრსარჩევმა,
 ჩობანს გვიჭმია ჭიბჭავი.
 ნეტა ეგ მომჩივანი ქნა,
 მე მქნა სუდებნი პრისტავი,
 იაფად ტორგში ჩამეგდო
 მაგის ნაცომი ცხვრის ტყავი,
 ან ჩემი ხელით გამეძრო
 კაბა, იუბკა, ნიფხავი.

XXX

მღვდელი - არა გყავის ნათლიდედა?
 შამიკმაზე, შამსვი ზედა.
 ფრუშვა - ღვდელო, იყავ ჭკვიანადა,
 თორო შაგსომ შავს ვირზედა.
 ბაგირის საბელს ჩაგიდებ,
 დაგაბამ სქელ მარგი ღზედა.
 სამ კვირას ადგილს არ გიცვლი,
 დაგაღრძობ ერთ ადგი ღზედა.
 ჩემ რო იყო; გადაგცვლიდი.
 ერთ ტომარა ნახშირზედა.

XXX

ხევსური - განა დამბალ ხაჭოი ვარ,
 რას შამამხედავ, ბიძაო?
 ფრუშვა - განა მე ძველ დუმაი ვარ,
 რას შამამწკნავი, ციცაო?
 ხევსური - ბთხილად იუბენ, ფშაველო,
 ჩვენ ავ სულ აგვდის მგლისაო,
 მამა-შვილს გვარტყავ ხანჯრები,
 ორსავ პირზედა სჭრისაო.
 ფრუშვა - თქვენ ხანჯრები გაქვთ მჭრელები,
 მე მუშტები მაქვ ქვისაო,
 ორთავ გიტირებთ დედასა -
 ჯერ მამას, მერე - შვილსაო.

X X X

ეხლა დაწევ, ქოთილაო,
საკმაო სვი ღვარძლიანი,
ოღომც ლოგინ გამიშალეთ,
არც ქალ მინდა, არც – ქმრიანი.

ქვემოთ სადამ გამიშალეს,
ჩემს ზემოთით საცხვრე არი.
ქალ ესრ მოშორებით ღაწვა,
როგორც ტრახნი – პაპიანი.
ბეჩავ რაიმ ყოფილიყო,
მორცხვინალი, ხათრიანი.

საბანს რაიმ დაეზიდა,
ცხვარ მეგონა მატყლიანი.
ხელის ანლით გამოვიცან
ქალი ფაფანაგიანი.
ქალის სახელს კი ვერ ვიტყვი,
მა მკვლენ მაგის ნათლიანი.

XXX

ହାମ ଓହିବା ଶୋଭାଗ୍ୟିନୀ,
 ଧଳି କାନଦୀରେ ଘେବେଶୁଲେବି.
 ଗାନ୍ଧା ଧଳି ଶାରାଶେଷିଆ
 ମନ୍ତ୍ରବର୍ଣ୍ଣବିଶ୍ଵେ ଫାରିବେଶୁଲେବି.
 ଗା ଧାର୍ଯ୍ୟତ ମତେଇ କାନ୍ଦେବି,
 ଗାନ୍ଧାମାନ୍ଦ୍ୟତ ଫାଶେଶୁଲେବି.

XXX

ଫାଏ ପଢିବିତ ମରାପାଣ ଅମ ଫରନ୍ଦ,
 ମନମିଳନପାଇସ ଫେଣ୍ଟିଲିସ ତାପି.
 ଏ ଗନ୍ଧାର୍ଥ ହେମକ୍ଷେ ମନନ୍ଦଗିତ,
 ଶିଗ ହାତାଗନ୍ଧ ଗଜେଣ୍ଟିଲିସ ତପାଣି.
 ଶେଇତ ମେ ପାର ମନ୍ଦେଇଫ୍ରେ,
 ଆଲୀର ତୁ କ୍ଷେତ୍ରିତ ଆରି.
 ଆ କି ରା କ୍ଷେନାତ, ଆର ଫାଵଲିନିତ,
 ଶୁମିଲ୍ଲ-ଶୁମିଲ ମହିରିମିଚ ଆରି.
 ଫାରିନ, ଧନନିତ ନୁ ଅନ୍ତର୍ବେଦ,
 ତନନିତ ମନଗନ୍ଧିନ କ୍ଷେରିଲିସ ଫାରିନ.

წყობილება ამნაირი,
 სუ ვკითხულობ, არსალ არი, —
 ესე ამბობს თავმჯდომარე, —
 რა ხატი და რა საყდარი.
 იმას ხალხი ემოწმება,
 როგორც რაჭველს — საზანდარი.

ფ რუშპას პასუხი აღ. ლო მაშვილს

ალექსი, რო მიბარებდი,
 მამკი, რასაც დასთესაო,
 მაშ მოსამკალ რაალ დაგრ ჩა,
 მთაში რო ჰხან სამ დღესაო?
 დამპატიუე ქორწილშია,
 ჰფი ქრობ, ნუგეშს გასწევსაო.
 ერთ-ორ შაურს მე მაჩუქებს,
 ჩემ ცოლს — საუბ-კაბესაო.
 მივიხედე, მოვიხედე,
 სამ-სამ ჯარზე დასვესაო.
 მაში ნა თქვა ქოთილამა,
 მიგებენ ცუდ მახესაო,
 დე დაშვილ-მამაშვილებსა
 რა ფულ უნდა გასწვდესაო.
 წამოდგება ქოთილაი,
 საშინაოდ გასწევსაო.



ლაფანყურში მინდოდაურს ეყოლა ჭყუპიბი,
ეს ამბავი ფრუშკამ სოფლიონში გაიგო და ამ
ლექსით მიუღოცა ვაჟიანობა.

მ ი ნ დ ო დ ა ჟ რ ს

სამჭედლოში მამიტანეს,
ხთისო, შენი მონაწერი.
ისე ძაან გამიხარ და,
რკინას ვეღარ დავკარ კვერი.
ეგრე როგორ აგისრ ულდა,
ღვთისთვის გაქვ შანაძლვენი.
თიანეთში ვადღეგრძელე
შენი მაუზერის წვერი.

ფრუშკა და ალია (გიორგი გიგაური)

ალია - ფრუშკავ, რადარ ლამფას ანთებ,
რას უზიხარ ბნელაშია.
ფრუშკა - დარო, ე ჩეკ მამაწვალე,
ემანდ რო პედავ კერაშია.
ციცა რაიმ შამოსულა,
პირს ჩაგვიცემს ყველაშია.
ორ-ორ, სამ-სამ მანეთს ვაძლევ
თითო ხაჭოს კვერაშია.

ყრუ 3 გიორგი და ფრუშვაძე

- გიორგი - ჩემთან გადმოდი, ფრუშვაძე,
 ქალ მოგცა, როგორც ეთერი.
- ფრუშვა - მე ეთერი ვით არ მინდა,
 ბეჩავ ქალ მინდა, ჩემფერი.
- გიორგი - შენ საჩეჩლების მკეთე ხარ,
 ჩემ ქალ გაქნება მჩეჩელი.
- ფრუშვა - არაად მინდა შენ ქალი,
 ათასგან კვერცხის მდებელი.
- გიორგი - არც მოგათხუებ, ფრუშვაძე,
 ყროლი ჰყოფილხარ, ბებერი;
- ფრუშვა - ხილი სჯობ დამწიფებული,
 რაღა ხარ შაუგნებელი.
 ჯერ შარცხვეს ეგეთა ქალი,
 მერმარ მამა - ქალის მქებელი.

ვაჟა-ფშაველა და ფრუშვაძე

- ვაჟა - ჩემთან მოდი, სოფლოვნელო,
 ვაჟამ გითხრას არაკები.
- ფრუშვა - ჩარგალს იმით გადმოვედი,
 არტანს მოვსპე არ აყები.
 მე უბრალო მოლექს ვარ,
 პოეტებთან რას გავხდები.



გიორგი მათეს ძე კოდაშვილი (ტალაური)
დაიბადა საგარეჯოს რაიონის სოფელ ბოტკოში
1903 წელს. სოფელ ლაფანყურში მისი მშობლე-
ბი 1936 წელს ჩამოსახლებულან. 2-3 წლის
ასაკში გიორგის ტვინის ანთება (მინინგიტი)
გადაუტანია, რის შედეგადაც ორივე ქვედაკიდუ-
რის დამბლა ჰქონდა. მუხლის თავებით მოძრა-
ობდა ჯოხზე დაყრდნობილი. მიუხედავად ამისა,
იყო კარგი დურგალი და მთელი სიცოცხლე შრო-
მობდა. გიორგი იყო თავისი დროისათვის დიდად
ნაკი თხი კაცი, თუმცა სკოლაში არ უვლია.

გარდაიცვალა ლაფანყურში 1975 წელს.

ნეტავ არ ჩაიდებოდეს
 ფოლადის გული სხეულსა.
 მალე მოჰკლავდა სიკვდილი,
 არ დასჭანვავდა სნეულსა.
 მადლია, ცავი სამარე,
 დაასვენებდა ეულსა.
 გაეშვებოდა პირიდან
 ამ წუთისოფელს წყეულსა,
 ა თასწაირად მტანჯველსა,
 სატკბოს სიმწარე რეულსა.
 ფლი დია წუთისოფელი,
 დაუგმავ ყველა გრძნეულსა.
 მიწაა ჩვენი მფარ ველი,
 დე დას ვადარებ ხვეულსა.
 გულ-მკერდში ჩაკონებულსა,
 შვილზე ხელგადახვეულსა.
 სუყველას გულში ჩაიკრავს,
 უვარგისსა და რჩეულსა.
 უალერსოს და უღონოს,
 მკერდში სისხლგამოლეულსა.
 თუ საიქიო არ უჯობს
 ამ წუთისოფლის ჩვეულსა.
 ერთს მაინც ვინმე ნახავდით
 იქიდან გამოქვეულსა.

XXX

ტალაურმა თქვა, ბევრი რამ
 და ვტოვე სახსოვარადა.
 გამოვიცვალე სახელი;
 ტალი— ვიხმარე გვარადა.
 მტრისგან რო ვიყო ტანჯული,
 არ დავიდებდი ვალადა.
 მაგრამ ბუნებას რას ვუზამ,
 რკინაც რო მქონდეს ძვალადა?
 მაგან დამტანჯა წყეულმა,
 ცეცხლს ამადინა ბოლადა.
 როდის იქნება ნეტარა,
 მიწას დავეტყო გორადა.
 როცა სული და სხეული
 გაი ყოფიან ორ ადა.
 ხო მაინც უსარგებლოა
 ა მა თი ყოფნა სწორადა.
 სული სამოთხეს ესტუმრ ოს,
 ხორცი აქ დარჩეს მძორადა.

XXX

რა ზედაც გული მიტირის,
 ენას ვაუბნებ წყლიანსა.
 ტალაურ მა თქვა, ვემდური
 ბუნებას ღალატიანსა.
 არც ვინ სხვა უხდის მადლობას
 ამ წუთისოფელს ტიალსა,

სომუხთლე ს, გაუტანლობას,
 ბე დის უკუღმა ტრიალსა.
 ბე ვრს ატირებს უცრად,
 და ჰმარ თებს გულის ფრიალსა.
 ბევრ. ოჯახს გაანადგურებს,
 ბე ვრს მიაყენებს ზიანსა.
 ბოლომდე არვის ახარებს,
 დღეს დაუბ ნელებს მზიანსა.

XXX

ტალაურმა თქვა, ნეტავი
 ჩემგანამც შაიძლებოდეს,
 ბრუნვა ამ წუთისოფლისა
 როგორმე შაიცვლებოდეს.
 და მეშრო ცოდვის მორევი,
 აღარვინ ატირდებოდეს.
 არ მოკვდებოდეს ჯეილი,
 მანამ არ დაბერდებოდეს.
 რო დედა შვილის კუბოსა
 გვერდზე არ შიუჯდებოდეს.
 თავის სილალეს მიწაში,
 თვალი არ ჩაუყვებოდეს.
 ცოდვაა, ახალგაზრდაის
 ცაზე ვარსკვლავი ქრებოდეს,
 ტიროდეს მთელი სოფელი,
 ხვალის იმედი კვდებოდეს.

ტ ალ აური დ ა ბასილ ხუცურაული

- ტალაური** - რძალს აქებს ხუცურაული,
 ჭიქასა ჰკიდებს ხელასა.
- ბასილი** - ვაქებ და კარგიცა მყავის,
 ეგ მირჩევნავის ყველასა.
- ტალაური** - რარიგა შაგყვარებია,
 ნემსივით ურგავ ცემასა.
- ბასილი** - მაგის მოქცევა ოჯახში
 მაეწონება ყველასა.
- ტალაური** - ეტყობა, ყოჩაღ იქნება,
 ბევრჯერ გაძახებს შველასა,
 ხელში ეჭიროს რკინაი,
 კარში გლალავდესთ ყველასა.
 ფეხით გაგქონდესთ ერთურთი,
 მტვერ ასდიოდეს კერასა,
 გხვდებოდეს გადმოქნეული,
 ცისასა ჰგვანდეს ელვასა.
 ზოგ შაჟორი მაშინა,
 პურ ს რო დაგიწყებს ჭმევასა,
 შორს დაგსომს მაგიდასთანა,
 იქ გადმოგიგდებს ხმელასა,
 სჭამდე და ვერა სცოხნიდე,
 გუეფდეს ღრძილსა და ენასა,
 სატნად ხახვ-ნიორს მოგაწვდის,
 დაგანატრულებს ყველასა.
- ბასილი** - განა მარ ტუა ვიქნები,
 ბებერს ეგრ მასდის ყველასა.
- ტალაური** - თუ გცვავის, ახალს გაგხდიან,
 შამოგახვევენ ძველასა.

- ბასილი - ჩემ რძალმა წაიღუდუნა,
 მიწამც დაგიშლის ენასა.
 ტალაური - ემაგითა გცემს ხშირადა,
 მაგას აბრალებ ყველასა.

ბ ა ს ი ლ ს უ ც უ რ ა უ ლ ი დ ა ტ ა ლ ა ვ ა რ ი

ბასილი - ძალიან კარგი რძალი მყავ,
 პატივსაცემი დიდადა.

ტალაური - აქებენ, კარგიც იქნება,
 გამოსადეგი სუდადა.

ბასილი - სუ თავდახრილი მიყურებს,
 არ ამჩქამდება ცუდადა.

ტალაური - ერთხელ ხო გაგასამართლა,
 არხში რო ჩაგდვა ხი დადა.

ბასილი - წაქცეულს ამაყენებდა,
 ხალხს უებ ნავის ცუდადა.

ტალაური - მე გამიხარდა, ცოცხალი
 რო გადაურჩი მშვიდადა.

ბასილი - მაგას რო ცუდი ვინ უთხრას,
 ცას დავახურებ ქუდადა.

ტალაური - ეგეთა ყველას აშინებს,
 ვინ ასჩქამდება ცუდადა.

ბასილი - მე კი ცუდს აღარას ვეტყვი,
 ძალიანა ვარ ფრთხი ღალა.

ტალაური - დაჩვეულ გაგი მეორებს,
 ხო განახვინა ხილადა.

ଦାସିଲ୍ଲି - ଶିରନାମିତି କି ଏହି ଅମ୍ବେତ୍ରେ,
ଏହି ଗାମେତ୍ରାଙ୍ଗେ ଫୁରାଙ୍ଗା.

ତାଲୁକୁରି - ମେ ତୁ ଫୁରି ପାର, ଦାସିଲ୍ଲି,
ରଦାଲ୍ଲି ଗେପଣତା ଲ୍ଲବି ନାହା.

ଠୀକ ଡରି ରେ କ୍ଷେତ୍ରକାଳୀନ ଡା ତ ଏଇ କଥାରେ

ତେବେଦନର୍କେ - ରାମଧେନ୍ଦ୍ର ଫୁଲି ଗୈନିବା,
ଏବ୍ଲା ମନ୍ଦିରିତାର ଗନ୍ଧାଙ୍ଗା.

ତାଲୁକୁରି - ଗାନ୍ଧା ଦାଲୀବାନ ଦେବରିବା,
ବେଳ ଛଂକିକାଳୀବାଜ ଶିବରାଙ୍ଗା.

ତେବେଦନର୍କେ - କ୍ଷେତ୍ରଶିବାମିତି ରାମାଗନ୍ଧେବିନା
ଶେବ ତାଵି ସନ୍ଧିଲିପି ଶିବରାଙ୍ଗା.

ତାଲୁକୁରି - ଇମ ଘରରେ ଶେବ ଚିତ୍ତିଲାଳ ଗୈନା,
ମେ କି ମାତ୍ରିକା କୈରାଙ୍ଗା,
ଇକାବ ଗାଗପ୍ରତିକାଳିଙ୍ଗ ଚନ୍ଦଗିଲିଖି,
ଏହି ଚାଗିଲେବିନି ଶିବରାଙ୍ଗା.

ხვთისო იოსების ძე მინდოდაური დაიბადა
 1916 წელს თანეთის რაიონის სოფელ არტან-
 ში. დედით ადრე დაობლებულა და ბავშვობა
 სრღატაკეში გაუტარებია.

მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში.

1924 წლიდან ცხოვრობდა თელავის რაიო-
 ნის სოფელ ლაფანყურში და აქვე გარდაიცვალა.

მას მეტოქეობა გაუწევია თითქმის ყველა
 ცნობილი მოლექსისათვის. სამწუხარ ოდ, მისი
 კაფიებიდან ძალზე ცოტას მივაგენით.

ხვ თ ი ს მ მ ი ნ დ ღ დ ა უ რ ი დ ა
ხვ თ ი ს მ ბ ა ი ა შ ვ ი ლ ი

მინდოდაური - შენ ცოლის ტურებ დავკოცნე,
აკი მეც წთისო მქვიანა.

ბაიაშვილი - ცოლისდაია ის შენი,
მოდი, თუ შაგიძლიანა.
შენ ცოლს ეხლა მეც ვაკოცებ,
თუ კი აქამდე ვი არა.

მი ნდოდაური - შენ არ იცოდი გინება,
რამ ეშმაკმ გადაგიარა?

ბაიაშვილი - იცოლება კაცის გუნება,
ზოგ ადრე, ზოგი გვიანა.

მ ი ნ დ ღ დ ა უ რ ი დ ა ფ რ უ შ პ ა

მინდოდაური - ფრუშკავ; რად-რა უკეთებენ
ემა ურემს კონკილასა?

ფ რ უ შ პ ა - ეგეთა უჭკო რადა ხარ,
რასა ჰკითხავ ქოთილასა.

მი ნდოდაური - იმითა, რო თავს არ დაჰხ
ზედ რო იჯდე ორ კვირასა.

გოდერძი - ჩემთან გადმოხე, ხევსურო,
 ენა გქონია წყეული.

მე იმათ კი არ მაფერო,
 ვისთანაცა ხარ ჩვეული.

მინდოდაური - ძალიან მოგწონ ჩემ ქალი,
 დასდიხარ გადარეული.

გოდერძი - მაშ სხვაზე რად გაათხოვე,
 რაად და მწირე ეული.

მინდოდაური - შენ შალომებულ ეტყობი,
 ენა გაქვ გამოწეული.
 შენამც თავის რძალ გაჩვენა
 (ჩემთანა)

საბნის ქვეშ გამომწყვდეული.
 სჩენი ყო მუხლის თავები,
 წინ კაბა ამოწეული,
 გენახა მინდოდაური
 შუბლზე ოფლგადამცვრეული.

გოდერძი - .


მინდოდაური - გასტეხე მინდოდაური,
 რქები აქვ ჩამომტვრეული.

მინდოდაური და მინდოლი და აღალენი
 (მოხელილი)

- მინდოდაური - სუ ვიცნობ შენებ ცხენებსა,
 ე უცხო რაღა გყოლია?
- მოხელილი - ესეო სიმამრმ მაჩუქა,
 შენზე მეტ ჭკვა აქვ, გონია.
- მინდოდაური - გვერდალში გაზრდილ ეტყობა,
 რა გრძელ საბჯენი ჰქონია.
- მოხელილი - თუ მოგწონ, ქეთოს წაჰვარე,
 განა ძალიან შორია.
- მინდოდაური - ქეთოს რა წელ-გულს
 მასწყვეტავს,
 ვირ თავისიცა ჰყოლია.

ხვ თ ი სო მინდოდაური და
 ფამაური პო ფი

- კოფი - შინ წადი, მინდოდაურო,
 მიპბარ დი თავის კერასა,
 ქალები გყვანან მამსწრალი,
 პატრონი უნდა ყველასა.
- მინდოდაური - დაჩვეულია ჩემ სახლი
 სტუმარსა, ხალხის დენასა.
 მოვლენ და ისევაც წავლენ,
 ღმერთმა უშველოს ყველასა.



ମାର୍କୋ - ମତାତ୍ପରୀତିଶି ବାଲ୍ବ ଧାମିଣିସ,
ଯାମ୍ଭିମାତ୍ରେ କ୍ଷାରାତ୍ମାନୀୟା.

ଶାମରାତ୍ରିପାଠ ଲାଭ ଅନ୍ୟାନ୍ୟା
ମାରମାରିଲାଗେ ଗାଲାତ୍ମାନୀୟା.

ମିଶ୍ରମଧାରୀ - ଶେବ ପ୍ରାଣ ସବ୍ୟେଦିନ୍ଦ୍ରିୟ ଉଦ୍ଧରାତ୍ମାତ୍ମା,
ଶେବ ଧାରିବାର ଜୀବନାମାନୀୟା.
ଗୁମ୍ଭିନାଚ କୋରିନ୍ଦି - ପ୍ରାଣିତେଣ
ସଦର ଆପଣା ପ୍ରାଣିସ ଯାହାମାନୀୟା,
ଦୁଃଖିନା ଧାରିବାର ନାମିତେଣ
ଶେବାନାଚ କୁରିପ୍ରାଣାମାନୀୟା.

დარეჯან ხვთისოს ასული ბუკუკიშვილი და ბა დებულა 1908 წელს სოფელ ბუჭყინტაში (მაღაროსკარის სასოფლო საბჭო, დუშეთის რაიონი). მამა - ხვთისო კარგი მოლექსე-მოკაფი-ავე ყოფილა.

დარეჯანს ბავშვობა მწყემსობაში გაუტარებია. წერა-კითხვა სპაზე უსწავლია.

1923 წელს გათხოვილა ალექსი ბოძაშვილზე, რომელსაც ზედმეტ სახელად გაკრულას ეძახდნენ. ამის-შემდეგ დარეჯანს მეტწილად გაკრულათ დარეჯანის სახელით ახსენებდნენ.

მთიელი კაცის მაშინდელი ცხოვრების მძიმე პირობები გაკრულას ოჯახსაც აიძულებს, ეძიოს საცხოვრებლად უკეთეს ადგილი. ჯერ შარახევაში გადასულან, შემდეგ საშევარ დნოში (დუშეთის რაიონი), ბოლოს 1935-36 წლებში კახეთში ჩამოსულან და ლაფანყურ ში დამკვიდრებულან.

ცხადია, დარეჯანი ადრეც „სწერდა“ ლექსებს, შაგრამ ჩვენს მიერ მიკვლეული ყველა ნიმუში სოფელ ლაფანყურ ში ცხოვრების პერიოდშია შექმნილი. ამ ლექსებზე დაკვირვება კი დაგვარწმუნებს, რომ დარეჯანი ფშაურ პოეზიაში განსაკუთრებული მოვლენაა. დაგვიტოვა სუკეთესო ლექსები და კაფიები, და რაც ძალიან იშვიათია, ელექსებოდა (ეკაფიავებოდა) მამაკაცებს, თვით სუკეთესო მოლექსეებიც კი ხშირად „დაუმარცხებია“.

სოფელში ასეთი ამბავია შემორჩენილი: ერთ ხელ სამუშაოდან ბრუნდებოდა თურმე დარეჯანი. გზაზე წამოეჭია ხვთისო მინდოდაურ ს, რომელ-

საც ურმით შეშა მიჰქონდა. მინდოდაური, სა—
 კმაოდ ცნობილი მოლექსე, რომელსაც სხვადასხვა
 დროს ღირსეული მეტოქეობა გაუწევია ისეთი
 მოლექსეებისათვის, როგორიც იყვნენ ფრუშვა,
 ტოკა და სხვა, დარეჯანის ახლო ნათესავი იყო.
 დარეჯანმა უთხრა თურმე მინდოდაურ ს: „ხთისო,
 მოდი, ვილექსოთ, თუ მაჯობე, ხინკალს მოგიხა—
 რშავ და ანწლის არ აყსაც დაგალევინებ, თუ გა—
 ჯობე, ეგ შეშა ჩვენსა დაცალეო!“ არ ავინ ყოფილა
 მოწმე მათი მაშინდელი ლექსობისა, სამაგიეროდა—
 ის კი ბევრმა ნახა, რომ იმ საღამოს მინდოდა—
 ურმა შეშა დარეჯანის სახლში მიიტანა. ერთხელ
 საჭობაში დარეჯანს ნიკო მამალაშვილმა შეულე—
 ქსა:

„ეგ ვინდა მოგყავ, დარეჯან,
 ხელი ხელს რო გაქვთ გამბული?“

„ეს ვითომ ხევისბერია,
 თვალებ ხ: რა ჯაჩი ამბოლი“. დარეჯანმა მოწინააღმდეგეს ლექსობის გა—
 გრძელების ხასიათი წაუხდინა.

დარეჯან ქმარმა მიატოვა, მაგრამ ოციოდე
 წლის შემდეგ, ვაჟიშვილის ქორწილში ეწვია. ლე—
 ვან ბოძაშვილმა ამის თაობაზე დარეჯანს შეუმ—
 ღე რა:

„რასა პფიქრობ, ბუკუკაო,
 მოგივიდა გაკრულია?“

„ეგ მე ვერას გამამრჩება,
 ოცდახუთ წლის წასულია“. დარეჯანის ამ პასუხს ხალხი ტაშით შეხვდა.

მიუ-
ურთისა და
აგრონომი

დარეჯანმა ბევრი მაუსხავი სტრიქონი მიუ-
ძღვნა კოლმეურნეობის ბრიგადირებს, აგრონომო-
მებს, და კანტორის მუშაკებს:

„აგერ მოლის გიგაო,
როგორც თაგვი ბიგაო.
ლევანას ეუბნებოდა,
წამყალი რას გიგაო”.

„ოვჩარენკო ფედიაო
ლაფანყურის ბედიაო.
სხვად კი არაფერი უჭირს,
ცოტა-ცოტა ყბედიაო”.

„ფიქალაო, ფიქალაო,
დაჯე, ნუღარ მიჰქარაო.
პორ თველი ხო ჩამოგართვეს,
ვერ ატარე დიდხანაო”.

„კანტორაში მომუშავე
კოხტა ამხანაგებია.
სუკნო-შიოტს ჩაიცომეს
მიტომ მეთამამებიან”.

ერთხელ დარეჯანი წასულა ნახირში. იმ
დღეს მის მეზობლებს („ნავროთ”) ქორწილი
ჰქონიათ. დარეჯანმა მიწდორში გაიგონა დოლ-
გარმონის ხმა, გაანება ნახირს: თავი და ქორ-
წილში წავიღა. რა თქვა უნდა, ნახირი დაიკარ
გა. სანამ სხვები მაღექსებენ, თვითონ მივხედ
საქმესაო, იფიქრა დარეჯანმა და იმავე ღამეს,

„პირველი მამლის ყივილისთვის”, ლექსიც მზად
 ჰქონდა:

ნავროთა ჰქონდა ქორწილი,
 ღიღი, პატარა კიოდა,
 გვიგვინებს დოლი, გრიალებს,
 გარმუნიც ამოჭყიოდა.
 თაშაბობს დარეჯანაი,
 ტლინკურში ამოლიოდა,
 იმის დაკარგულ ძროხები
 მაჩხაურს გამოდიოდა.
 შამაჲხვევიყო ჯეჯილსა,
 საღაც მწვანელა ღვიოდა.
 საღღა ახსოვდა ძროხები,
 ლუღი და ღვინო შხიოდა.
 მაშინდა მაჲგონებიყო,
 მზეს სხივებ აღარ სდიოდა.
 „რა ქნა მაგ დანელებულმა?” —
 მთელი უბანი ჩიოდა.
 ერთი მყავ, ისიც თან წაჲყვა,
 მე რა თავს გადამდიოდა.
 ნეტავი გამაგებინა,
 ვის უფრო გული სტკიოდა!
 მჭედლურთ მარიამს ამბობენ,
 გულზე ცეცხლ გაღასდიოდა.
 გამამივარდა გზაშია,
 მტრებულად ჩამამკიოდა.
 ცოტა არ იყოს შავშინდი,
 ცრემლები ჩამამდიოდა.

ଗୁମ୍ଫାରଙ୍ଗା ହେଉ ଦିଲ୍ କୋରଚିଲ୍
ପ୍ରେଷିବ୍ ଅମାମଣିନନ୍ଦା。
ଏସ ଲୁକ୍ସ ରହ ଶାକାର୍ଯ୍ୟମନ୍ତ୍ରୀ,
ଆରବ୍ରାନ୍ କାତାମି ପ୍ରକଳ୍ପା。



X. X X

დაგწერ და დაგწერ, წერილო,
გა დაგაყოლებ ქარსაო.
წადი და შამაუარე
წი თელ არ მიის ჯარსაო.
ნაშვილობი მყავ წასული,
თი თქოს მირჩევნავ ძმასაო.
ლაფანყურაის ბადალი
რუსეთს გაჰკივის თავსაო.
ნეტავი კიდევ მაჩვენა,
არას ვიტყოლი სხვასაო.
მოკლედ, აღარა მწადიან
სამუშაოზე წასვლაო.
ერთხელ რო ხელმძღვანელობდი
ლუ კაის ბრიგადასაო,
ერთხელ რო მოსორნაშია
ვიყავით სამარ გლავსაო,
შენ რო სთქვი, არას ვიდარდებ,
მარტო ვინატრი მთასაო.
ივანე ლაშქარაშვილო,
და მცველო რუსეთისაო,
ნეტავი მოგცა ერთი და,
დამჭიცებელი მზისაო.

ცოლას კი არას ვიტყოდი,
 გამლაღე არი სხვისაო.
 არა მწამ ცოლის დაწირვა
 ჯარში წასული ყმისაო.
 მაი ნც ედება საძრახი
 თუ გინდ ქალ იყოს ხვთისაო.
 გულს არა შამაიყარო
 ამ ჩემის საუბრითაო.
 გა ათამაშე გუნება,
 ვაჟკაცო, არა გი შაო.
 ახლა გი ამბო ამბავი
 აქაურ ქალებისაო:
 შაქუჩდებიან ერთადა,
 ფერი აქვთ ყვავილისაო.
 გულზე უბრჭყვინავთ ბროშკები,
 მანათობელი ცასაო.
 გამოვლენ კანტორასთანა,
 იქ გამართავენ ლხინსაო.
 თეთრადა ჭარხენ ღამესა,
 არ იძინებენ ძილსაო.
 ვერ გაირევენ დაროსა,
 დაროს რუსულაშვილსაო.
 სალდათო, შენი მგონარე
 ცრემლებით იბანს პირსაო.
 ვაი მე, როდის მოვიდეს,
 თვითეულ დღესა სთვლისაო.
 მაზლი, ძმასავით სილაღე,
 გა მრთობი დარდებისაო.
 ე ქალსაც კარგად ვინახავ,
 ნუ გეშინიან მტრისაო.

წასვლაში დანაბარები,
 განა კი დამავიწყდა.
 განაპირებით დავდივართ,
 დავიწყებთ დასაცილსაო.
 შენ გიუმაუობას ვიუბნებთ,
 ჩვენ გვართობინებს ისაო.
 ეხლა კი მისურვებია
 სამსახურ მშვიდობისაო.

XXX

o. მთიბელაშვილის დაღუპვის გამო

მთაში გაზრდილი ფშაველი
 კახეთს ჩამოველ ბარათა.
 ლექსი რა სანიაზოა, I
 უნდა ამოვთქვა ძალადა.
 ცხვარო, დაიწვი, ტიალო,
 შირაქში მდგარო ფარადა.
 დაემზადება ილიკო
 მწყემსებთან წასავალადა.
 უმჟ ხთლა უფავის წერამა,
 მზე ამაუხდა შავადა.
 ძალზე ატირდა ერთი და,
 მოდის ცრემლები ღვარადა.

I. სანიაზო — ხალისით საკეთებელი.

გვერდს უდგა სხვისა გაზრდილი,
 სოფუვებს ამოსთქვამს ბრალადა.
 ი ლიკო მთიბელაშვილო,
 ი კურთხოს შენი გამზრდელი.
 ვა ჟკაცო, შენი დაღუპვა
 მარჯვედ არ არი სათქმელი.
 ვინ დაგიწყევლა მგზავრობა,
 რო ჩაქრა შენი სანთელი.
 შენი გზა აბალახდება,
 შენი დის გულის დამწველი.
 ძილი რამ დაგცა, ჭიალი,
 ციც მანქანაზე წაჯდომსა.
 როგორ დაგრია სიკვდილმა,
 კაბინკის პირზე წაწოლსა.
 რაც შენ სიცოცხლე დაგაკლდა,
 შენ შვილებს შეემატოსა.
 შენ გამართული სახლ—კარი
 მოხ მარდეს მშვიდობაშია.
 მამა ახსოვდეს შვილებსა,
 დამრ ჩალი შუა გზაშია.
 დაუვიწყართმც ექნება
 სუ, თავის სიცოცხლეშია.
 შენის ბედისიმც იქნება,
 ვინაც შენ გაგაქილიკოს.
 ნეტა რა ენამ უნდა თქვას
 შენი სიკვდილი, ილიკო.
 შენი და არა გფიცავდეს,
 ეგ შენი ცოლი ქვრივ იყოს.
 მეც დავენახე მუდამა
 შენზე ცრემლების მფრქვეველი.

ბევრი დამალა მიწამა
 ძმა დისა გულის მჭმეველი.
 თუ გინდათ, ჰკითხეთ სალომეს,
 მჭედლურთ გიორგის დასაო.
 ჩვენიმც მტერ ეძებს რვა დღესა
 ტყვიით დაკარგულ ძმასაო.
 ა თასჯერ მტრისად მაბრ ძოლსა,
 დამრჩალსა შეა გზასაო.
 შაქრივნის ყელში ტუსაღსა,
 ა კრულსა გორის ფხასაო.
 ა ღარა ფიქრობს გი ორგი
 მშობლების ცოდვა—ბრალსაო.
 მე მინდა სახსოვრად იყოს,
 ლექ სად ამოვთქომ იმითა.
 თუ საკადრისი იქნება
 ნათქომი ჩემის პირითა.
 ბე ვრის ლაპარაკ მეწადა,
 ე ნა მიჭერავ კბილითა.
 მეც თავის წუთისოფელი
 გამიტარ ებავ ჭირითა.

1952 წელი ძალიან მოუსავლიანი იყო.
 ხალხს უჭირდა. ნამკალში გადიოდა. თავთავს
 კრეფდა. არჩევდა და ფქვავდა. დარეჯანიც
 წასულა თავთავის საკრეფად. თურმე კოლმეუ
 ნეობის თავმჯდომარემ (მთვარელიშვილი), პარ
 ორგმა (მჭედლური) და აგრონომმა (გიგა) მო
 წრეს. მოკრეფილი თავთავის კონები ზურგზე
 აჰკი დეს და სალეჭზე მიატანინეს. მართალია,
 დარეჯანმა მეორე დღეს იმდენი თავთავი მო

რიფა, რომ 10 კილოგრამი ხორბალი გამოუვი—
და. კოლმეურნეობის ეს „ვაი პატრიოტები“ შეიძლოთ
მაინც თავისებურად შეამკო:

დროება გამაიცვალა
ორმოცდათორმეტ წელშია.
დავარ გეთ ნამუშევარი,
ვეღარ ჩავიგდეთ ხელშია.

მერამც არ შავსწრებულიყავ,
არ დამცემიყო დარდები,
სი მშილით გაგიჟებული
სადრა-რა გადავვარდები,

წასულ წელს წაველ თავთვობა,
დამიხვდა მთვარელიშვილი.
გვერდზე მაჰვება მჭედლური,
დიდგულად გაცანქმული.

წინ წამაუქლვა გიგაი,
წართმაზე დაპირებული.
წამართვეს ტომრიანადა,
დამტოვეს ატირ ებული.

თავთავ რარიგად წამართვეს
ერთის კვირაის მშიერსა.
სამთავ დაიწყეს სიცილი,
ცრე მლებს რო ვშლიდი ძლიერ სა.

ଜୋଖେଣ୍ଠେନ, ଧେଉରି ଜୋଖେନ,
ମାରି ନେ ଏବଂ ଶାମିଦର ଅଲ୍ଲେଶା.

ଫାତୁ ପରା—ଫାତୁ ପରାଞ୍ଜେ ପ୍ରସାଦିନ,
ମିଦର ବାଲ୍ଲେବନ୍ଦନେନ ତପାଲେଶା.

ଫାଲ୍ଗନିଶ୍ଚ ମିମାତ୍ରାନି ନେଥି,
ଶେଷ ଫାତୁ ପରାଞ୍ଜେ ସାଲ୍ଲେଷା.
ଫେର ଆଶ୍ରମା ହେମିଶ ପ୍ରମଦିତା
ଫଳେ ମର୍ମେଶା, ଲାମିତ ମତପାରେଶା.

ମେହରେ ଫଳିଲା ପାତ୍ରେନନ୍ଦା,
ପାଶରୁଲେ ଗୁଲିସ ଫୌଜରେଥି。
ତୁ ତେବେନୀ ଜୀବରି ଶାପକାମନ
ରାଧା ଫାରେଜାନ ପୌଜନେଥି?

ଶେଷି ଆପିଲେ ତ୍ରିମାରା,
ଶିଗନିତ ହାତାଗଛେ ଶାଶ୍ଵେତି.
ଏ ତ କିଲା କିଲେବ ଫାତୁ ପରିଷ୍ଠା
ଫି ସ୍କ୍ରିପ୍ଟିଲ୍ଲିଶ୍ଚ ହାମରିଶାପରେତି.

ଫାଇଦା, ମତପାରେଲୀଶିଵିଲା,
ଦେବ ପରି ମାଝି ଶେନତାନ ଶାତ୍ରେମେଲା.
ପ୍ରସାଦେ ଲାଜାନ୍ତପୁରଶିବା,
ଜେର ଗାନ୍ଧିତିଲୀ ଶାଶ୍ଵେତି.

ରାଧା କ୍ରିନାସ ଧନ୍ତରାଣିଶିଵିଲମା,
ରା ଫ୍ରିପାଲ୍ସ ହାତୁଫରେ ମନ୍ଦିନାରଶା,
ହାତୁପରା ମତପାରେଲୀଶିଵିଲମା,
ରାତ୍ରି ଏବଂ ପିପିତ ପିମାଶା?

ვიურვეთ ბოჭორიშვილი,
 თავმჯდომარეა ნაცდვილი.
 ამ სოფლის ფეხზე დადგომა
 რა და გგონიათ ადვილი?
 ვა ხშმად ვიტოვებთ ნაწილსა,
 აღარა გვრჩება სადილი.

3 1 4 0 0 8 0

გაკრულა ფშავში წავიდა
 ბევრ-ბევრმა ჩაიცინაო.
 ავდგე, ჩავპეტო კარები,
 ჩამაუყარო რკინაო.
 იციან, მარტოკაი ვარ;
 არ შამიცვივდნენ ში ნაო.

X X X

ემა ლექსობას ქალაო, ი,
 ქ სული გესწავლა, ჯარაო,
 ერთ ჯუბან ამოგეხაჩნა,
 მუხლებზე დაგეფარაო.

XXX

თავისა ვერა გამიგავ,
 ვინ მავაზირებს სხვისასა.
 რა იმას ვიტყვი ბეჩავი,
 ჯარისასა და ქსლისასა.
 ჯერ აბგა არ მამიქსოვავ
 ოც დათოთხმეტის წლისასა.

ანიკო მჭედლურისადმი მიწერილი
 წერილიდან.

დარეჯანი – ამბობენ, მინდოდაური
 კარგადა შმარობს ჰირსაო.
მი ნდოდაური – როცა იქ არა მყევიხარ,
 რა უთხრა გასაჭირსაო.

XXX

მინდოდაური – გაკრულას ორი ცოლი ჰყავ,
 ერთი მე, ერთი – იმასა.
 მე კი დარეჯან მირჩევნავ,
 ფოლადსა ჰგავის რკინასა.
დარეჯანი – სათქვენო ფშავით ჩამაჰყვა
 ბოძათ ლევანის ვირასა.
 ეცადეთ, მანამ წავალის,
 იქავ მიჰყავის კვირასა,
 დაჰფხანეთ, გაგიყუჩდებათ,
 არ გამოგართმევთ ქირასა.

ტოკა (ხთისო) იღარიონის ძე იმერ ლიშვილი დაიბადა 1867 წელს ბაჩალში (თიანეთის რ-ნი). ბავშვობა სიღარიბესა და მოჯამაგირეობაში გა-უტარებია. ამ საუკუნის 10-იან წლებში ჩამოსა-ხლებულა თელავის რაიონის სოფელ ლიფანცურში, საი დანაც შემდეგ მეზობელ სოფელ გრძელჭალაში გადასახლებულა (ყვარლის რ-ნი).

გარდაიცვალა 1946 წელს.

ტოკა - ტყუილადა გაქვ იმედი,
ვერ იტყვი ტოკასავითა.

მეტოქე - მაცალე, ჩემო ბიძაო,
ნუ ჰყვირი თოქმასავითა,
უცხო ბიჭ შამოგებარე,
უცოდვო ცოდვასავითა.
ცრემლებ არ ჩამამადინო,
დამტვრეულ კოკასავითა.

ტოკა - ძან კი სცდილობ, მაგრამა
დაგაბამ ძრ ოხასავითა,
ცხვირზე ამოგდებ ქორაკსა,
ულაყა ჩოკასავითა.

-
1. თოქმა - ხარის სახელია
 2. ქორაკი - ჯორის აღვირი ხის საცხვირით
 3. ჩოკა - მამალი ჩოჩორი.

ჩო ნეარა გაბიდო ღ ური დ ა ტ რ პ ა

ტოკა - ჩონქარავ, რასა ჰფიქრობლი,
 ბატარქალთან რო სწვებობი?

ჩონქარა - ობლობით მენანებოდა,
 დაუჩვეველსა ვჩვევდოდი,
 ისეთ გულ მქონდის, გენაცვლი,
 მითამ უოლ-მაყვალს ვკრეფ დოდი.

ტოკა - ხალხს ტოკა ემატებოდა,
 შენ რო კუნტრუშთა სძრევდოდი.

ჩონქარა - მაშინ თუ ვიღუპებოდი,
 დაუმარ ხავი ვრჩებოდი.

ტ რ პ ა დ ა უ ც ხ ვ ბ ი მ თ ლ ი ა დ

ტოკა - ხთისო ვარ, იმერლიშვილი,
 ბატარქალაის გაზრ დილი.
 ისე ამოვყრი ლექსებსა,
 რო თებერვალში - ღანძილი.

უცნობი - ფოშტის ფულ ვეღარ გიშვინავ,
 ხან ნაცვალ ღაგდევს, ხან გზირი.

ტოკა - რა უყვათ, ტოკა გენაცვლის,
 საშოვნ არ არი აღვილი.
 იჭრება პეტერ ბურღშია,
 მე იქ ფულისად სად ვილი.

შეთე და ტოპა

შეთე - რაღ-არ დასწევები, ტოკაო,
რაღ-არ მასძებნი ჩალასა?

